საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„ დამტკიცებულია“
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2018 წლის 22 ივნისის სხომაზე (ოქმიN 5)

აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭო (შემდგომში – აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.
2. აკადემიური საბჭოს რეგლამენტი უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს და პროცედურას.
3. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად.
4. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი. N 49).

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის რექტორი.

2. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა 4 წლის ვადით.

3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 6 წევრით – სასწავლო უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტიდან 3 წარმომადგენელი.

4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
5. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს წევრს უწყდება აკადემიური საბჭოს წევრობა.
6. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით 2 წლის გასვლის შემდეგ.
7. აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, წილისყრით გამოვლინდება აკადემიური საბჭოს წევრთა ერთი მესამედი, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1.აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი.
2. აკადემიური საბჭო ირჩევს მდივანს.
3. აკადემიური საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
4.აკადემიური საბჭოს მდივანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს საბჭოს მომავალ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, დღის წესრიგის პროექტს;
5. აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ იწარმოება თითოეული სხდომის ოქმი, რომელიც მოიცავს:

- სხდომის თარიღს;
- სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
- დღის წესრიგს;
- სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს;

6. აკადემიური საბჭოს მდივანი ვალდებულია აკადემიური საბჭოს აქტები დროულად მიაწოდოს (სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა) უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურული ერთეულებს და პირებს;
7. საბჭოს მდივანი პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმის შედგენასა და მის შენახვაზე.
8.აკადემიური საბჭოს მდივანი სამი კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, აკადემიური საბჭოს ოქმებს გადასცემს შესანახად უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და რეესტრის სამსახურს (არქივს).
9. აკადემიური საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დასახელებული პირი

10. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება უნივერსიტეტის ბეჭედი.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, აკადემიური საბჭო:
   ა)განსაზღვრავს უნივერსიტეტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო პოლიტიკას, მართვის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის ინდივიდუალურ - სამართლებრივ აქტებს;
   ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
   გ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს;
   დ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების პროგრამების შექმნას;
   ე) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;
   ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;
   ზ) წარმომადგენლობით საბჭოს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;
   თ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;
   ი) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში;
   კ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით და აბიტურიენტთა მიღების წესს;

ლ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;

მ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

ნ) ადგენს აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ო) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

პ) ირჩევს სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ჟ) სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს სასწავლო პროცესის შეფასების წესს;

რ) შეიმუშავებს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის სიმბოლიკას;

ს) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას, საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ტ) იღებს გადაწყვეტილებებს ფაკულტეტების შექმნის, რეორგანიზაციისა და გაუქმების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

უ) იღებს გადაწყვეტილებას რექტორის სათათბირო ორგანოების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

ფ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს პირველი სხდომის ჩატარების წესი

1. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს უხუცესი წევრი.
2. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს და სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს საბჭოს წევრთა უფლებამოსილების

დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მისი მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების და სხვა საარჩევნო ინფორმაციის შესახებ).

3. სხდომის თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებს აცნობს საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.
4. აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების თაობაზე საბჭოს გადაწყვეტილებაში შეიტანება ყველა ის პირი, რომლის არჩევა კანონიერად ჩათვალა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ და დადასტურებულად მიიჩნია სხდომის მონაწილეთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.
5. თუ იმ პირთა რაოდენობა, რომლის უფლებამოსილებაც აკადემიურმა საბჭომ დაადასტურა, სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლებია, მაშინ სხდომა წყდება. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს მომდევნო სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიური საბჭოს სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტის არჩევიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 6. კადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭოს სხდომები

1.1. აკადემიურ საბჭოს სხდომებს, როგორც წესი, თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

1.2. რექტორის არყოფნის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომლის არჩევაც ხდება საბჭოს მიერ, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;

1.3. აკადემიური საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. თავმჯდომარეს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

1.4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

1.5. აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, საბჭოს წევრების გარდა შესაძლებელია მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის საკითხთან;

1.6. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.
1.7. სხდომა გრძელდება არაუმეტეს სამი საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობით.

2. დღის წესრიგი

2.1. აკადემიური საბჭოს მდივანი სხდომის დღის წესრიგს, წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.
2.2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც აკადემიური საბჭოს მდივანს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე
2.3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. გადაწყვეტილების მიღება

3.1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3.2. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია;
3.3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. თუ გადაწყვეტილებაში სხვა ვადა არ არის მითითებული, იგი ძალაში შედის მიღების მეორე დღიდან და მისი შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისათვის. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები ვრცელდება აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ.
3.4. აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი.

4. ხმის მიცემა

4.1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა).
4.2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

4.3. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.
4.4. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.
4.5. ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით.
4.6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების მიღებისთანავე.

მუხლი 8. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.